

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №20-1

ქ. თბილისი

10 მარტი 2022 წ

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე ნ.ელისაშვილი, კომისიის წევრები:
გ. კეთილაძე, გ.რჩეულიშვილი, გ. შალვაშვილი, თ. ნავროზაშვილი, გ.ბულაშვილი თ. ფრუიძე, ე.
დადიანი, გ. ჭიჭინაძე, კ.ბაბუაძე სატენდერო კომისიის აპარატის წევრები რ. გუგუშვილი და ვ.
ადამია.

დღის წესრიგი:

რაიონის ტერიტორიაზე 4 ერთეული საყრდენი კედლისა და 2 ერთეული რ/ზეტონის კიბის
მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების
სახელმწიფო შესყიდვაზე სატენდერო პირობებისა (სატენდერო განცხადება და სატენდერო
დოკუმენტაციის პაკეტი) და სისტემაში ელექტრონულად შესავსები სატენდერო პირობების
პროექტის დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის წევრმა გ.შალვაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია რაიონის
ტერიტორიაზე 4 ერთეული საყრდენი კედლისა და 2 ერთეული რ/ზეტონის კიბის მიმდინარე
შეკეთებითი სამუშაოებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვის შესახებ.
შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 12 500 ლარი, დღგ-ს გარეშე. CPV კოდი
71320000. მანვე კომისიის წევრებს გააცნო სატენდერო პირობების ძირითადი პარამეტრები
და სისტემაში ელექტრონულად შესავსები სატენდერო პირობების პროექტი.

გადაწყვეტეს:

1. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო
შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-15 მუხლისა
და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს რაიონის ტერიტორიაზე 4
ერთეული საყრდენი კედლისა და 2 ერთეული რ/ზეტონის კიბის მიმდინარე შეკეთებითი
სამუშაოებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების სახელმწიფო შესყიდვაზე
სატენდერო პირობები (სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტი)
და სისტემაში ელექტრონულად შესავსები სატენდერო პირობების პროექტი;
2. სატენდერო პირობები განთავსდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სატენდერო კომისიის ყველა წევრმა.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

სატენდერო კომისიის წევრები:

ნ.ელისაშვილი

გ. კეთილაძე

გ. რჩეულიშვილი

გ. შალვაშვილი

თ. ნავროზაშვილი

გ.ბულაშვილი

თ. ფრუიძე

ე. დადიანი

გ. ჭიჭინაძე

კ.ბაბუაძე

რ. გუგუშვილი

ვ. ადამია

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

☐ 1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

რაიონის ტერიტორიაზე, 4 ერთეული საყრდენი კედლისა და 2 ერთეული რკინა/ბეტონის კიბეების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.ექსპერტიზის ჩათვლით..

☐ ☐ 1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

რაიონის ტერიტორიაზე, 4 ერთეული საყრდენი კედლისა და 2 ერთეული რკინა/ბეტონის კიბეების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.. წარმოდგენილი უნდა იქნეს:

- განმარტებითი ბარათი დასკვნა-რეკომენდაციებით;
- სიტუაციური გეგმები;
- სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგია, თანმიმდევრობა ეტაპების მიხედვით (საჭიროების შემთხვევაში);
- სამშენებლო სამუშაოთა შესრულების ვადა და საერთო ღირებულება;
- წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, არსებული საინჟინრო ქსელების და კომუნიკაციების შესწავლა და დატანა გენგეგმებზე (საჭიროების შემთხვევაში);
- სამუშაოების კონსტრუქციული პროექტები - ნახაზები, ჭრილები, დეტალები და სპეციფიკაციები (საჭიროების შემთხვევაში);
- სამუშაოთა მოცულობების უწყისების და ხარჯთაღრიცხვის (რესურსული და სტანდარტული) შედგენა;
- საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (4 ეგზ) და ელექტრონული ვერსიის სახით (პროექტები DWG და PDF, ხარჯთაღრიცხვები EXCEL ფორმატში).

2. შესასრულებელი სამუშაოებისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით;

3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

3.1. ზედამხედველობა სამუშაოების განხორციელების პროცესში, კონსულტაციების გაწევა, საჭიროების შემთხვევაში სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების კორექტირება და შესასრულებელი სამუშაოების იდენტიფიკაციის დადასტურება;

3.2. საპროექტო (კონსტრუქციული ნაწილის) და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის წარმოდგენა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან ან სსიპ-აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრის მიერ სხვა აკრედიტებული პირიდან.

☐ 1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

 დანართი N1 - კედლები და კიბეები.xlsx ☐

☐ 1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

მომსახურება განხორციელების ვადა: ტექნიკური დავალების გადაცემიდან არაუმეტეს 1 თვე, ექსპერტიზის ჩათვლით, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 01 ნოემბერი..

☐ 1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

მიწოდების ადგილი: ისნის რაიონის გამგეობა, მის. ნავთლულის ქუჩა N8-1...

☐ 1.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ?

არა

☒ ტექნიკური მოთხოვნები

☐ 2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ?

არა


☐ 2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

კი

☐ ☐ 2.2.1 მიუთითეთ პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

პრეტენდენტს 2019-2020-2021 წლებში ან/და მიმდინარე წელს (ტენდერის გამოცხადებამდე) განხორციელებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური მიწოდება (საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება), ჯამური ღირებულებით მინიმუმ შესყიდვის ობიექტის ღირებულების 75%-ის ოდენობის. საკმარისია ერთი წელიც.

ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი N2-ის სახით.

 დანართი2საყ.კედ.pdf ☐

☐ 2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

არა

☐ 2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

☐ 2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

არა

☐ 2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?

არა

☐ 2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

არა

☐ 2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

არა

☐ ☐ 2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

▼ შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

☐ 3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

▼ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

☐ 4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

არა

☐ 4.1.3 მიუთითეთ კონკრეტულად თუ რის საფუძველზე არ იქნა გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტს არ მოსთხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება თავის მხრივ არ შეიცავს მნიშვნელოვან მატერიალურ დანახარჯებს (ძირითადად მიმწოდებლის ხელფასი და კომპანიის არამატერიალური დანახარჯები)...

▼ სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

☐ 5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

არა

▼ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

☐ 6.5 მოითხოვება თუ არა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია?

არა

▼ ანგარიშსწორების პირობები

☐ 7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

არა

☐ 7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

7.2.1. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას დღგ-ს გარეშე (იმის მიუხედავად არის თუ არა პრეტენდენტი დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული). გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებისას, ხელშეკრულების ღირებულებაში დამატებით იქნება გათვალისწინებული დღგ-ს ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის გამარჯვებული არის დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად-თანახმად „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 21-ე მუხლის მე-5 პუნქტისა.

7.2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაძღო ანგარიშსწორებით ლარებში, 2022 წლის ადგ. ბიუჯეტის სახსრებით.

☐ 7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე..

▼ ხელშეკრულების პროექტი

☐ 8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

 ხელშეკრულების პროექტი.pdf ☐

▼ საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

☐ 9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

ვაჟა ადამია, 577158634, adamiavaja7@gmail.com

▼ დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

☐ ☐ 10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

1. გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა დანართი N1-ის მიხედვით;
2. ინფორმაცია 2019-2020-2021 წლებში ან/და მიმდინარე წელს (ტენდერის გამოცხადებამდე) განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ-დანართი N2-ის მიხედვით.

შენიშვნა:

1. სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, უცხოური საწარმოს/უცხოური საწარმოს ფილიალის/წარმომადგენლობის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ უცხო ქვეყანაში შედგენილ დოკუმენტზე ხელმოწერები დამოწმებულ უნდა იყოს ნოტარიუსის ან შესაბამისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის ხელმოწერა ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული;
2. პრეტენდენტის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო დოკუმენტაცია დამოწმებული უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით..

▼ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

☐ 11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი